4 მაისი, 1908 წ.

ფასი ყველგან 10 კ.

იუმორისტ. ჟურნალი

ეშმაკის მათრახი

№ 29



უცხო მახე.

უცხო მახე.

აბა, ყურნი განამზადეთ
ამბავი მაქვს თქვენთან მცირე
რა ოინებს მიმართავდა
ერთი ფრინველთ მონადირე.
ზამთრის სუსხი რო ჩამოდგა
და გაყინა მინდორ-ჭალა
ფრინველები თუ რამ იყო,
ყველა სადღაც მიიმალა.
აღარ სჩანდა არც შროშანი,
არც მერცხალი, არც ბულბული,
აღარც გვრიტი, აღარც მტრედი
არც ქედანი, არც გუგული.
ზოგმა სამხრეთს მიაშურა,
იქ იშოვა მყუდრო ბინა,
ზოგიერთი, ბედისწერამ,
ჩრდილოეთში გააფრინა.
მონადირეს ამ სურათმა,
დაუღვრიმა ერთობ სახე,
მაგრამ მარტის მიწურულში
მოიგონა უცხო მახე.
ტკბილი, ადთქმის საკენკები,
გამოჰკიდა მახის კარებს,
თითონ ბუჩქში მიიმალა
და იქიდან უთვალთვალებს.
უმანკო და მშვიდი მტრედი
მსწრაფლ მოსტყუვდა, საკენკს ეცა,
მაგრამ კარი მიიხურა
და ბედკრული შიგ მოექცა.
არც ქედანი დაუფიქრდა,
გვრიტიც უცებ გაიხლართა
და ამგვარათ, ჩინებული
ნადირობა გაიმართა.
ჩრდილოდან თუ სამხრეთიდან
მოიტყუა იქ გუნდ-გუნდათ
ალბათ ჯდომა გალიაში
შეეხარბათ და მოუნდათ.
მონადირე კი შესცინის,
ფრინველთა ამ სივაგლახეს
და ბუჩქებში მიმალული
შესტრფიალებს უცხო მახეს.

—კი.



პირველი მაისი.

ამაყურად გადუშლია
ფართო მკერდი ცხოვრების ველს,
მოკაზმულა ყვავილებით
და სალხინოდ იწვევს ყოველს.
დღეს ეგ ველი ჩვენ გვეკუთვნის
შრომის წმინდა მოციქულებს
და ზედ მერმის ცხოვრებისთვის
ვკონავთ ძმობის თაიგულებს!
წინ მიგვიძღვის ბაირაღი
მაშვრალთ ოფლით განაბანი
და გუნდრუკათ იწვის მის წინ
ჩვენი სული, ჩვენი ტანი!
ეგ ველი ხომ სამსხვერპლოა
ცხოვრების და მომავალის,
და ჩვენ კიდევ გადამხდელნი
სასახელო მძიმე ვალის·
მაშ, დღეს ვკონოთ თაიგული
წრფელის გრძნობით ჩანაქარგი!
გაუმარჯოს‘ ჩვენს მარჯვენებს!
არ გვსურს ვიყოთ სხვისი ბარგი!..

ნ. ზომლეთელი.



მ ო გ ო ნ ე ბ ა.

როს მსურს შევხედო მედიდურ თვალებს,
და ცეცხლს ბრძოლისას მათში დანთებულს,
იქ... იმ ხავსიან კედლებისაკენ
იტაცებს მაშინ რაღაცა ჩემს გულს!
იქ... ბუდე არის მწარ დუმილისა,
ცრემლით ნალესი მტვრით ავსებული,
ბინა საჯენობი უმაწვილურ წლების,
გულის საკლავათ დაჯანგებული!
იქ... ყველასფერი გლოვით მოცულა,
ობლათ ბრწყინავენ მხოლოთ თვალები,
და ტალ-კვესს შუა აღგზნებულს ჰგვანან
მათგან ნასროლი ნაპერწკალები!

ხელნი და ფეხნი ხუნდ ქვეშ მოხრილან,
ხორციც თანდათან ძვლებზე შემხმარა
ჟდესდაც მათში მედგარი ძალა
ურუ ცივს კედლებში ნესტათ შედნარა!
იქ.. სიბრალული არას დროს ვისმე
მხსნელათ, მშველელათ არ მოვლენია,
და მხოლოთ ერთსა განწირულებას
უძღვნია უხვათ ცეცხლი გენია!
ეხლა თვალები მხოლოთ შთენილან,
ცეცხლათ მზიდავნი ტანჯვა-წვალების,
მეტყველნი, მაგრამ ოხ რა სიცხოვლით:
,,სად ხარ წამო შურის ძიების?!''
იქ... იქ... ამ თვალებს მარტო შევხვდები
აქ კი ფიქრობენ შებრალებაზე,
ოხ, რათ არ ძალმიძს ეს ფარდა ცდომის
ხელით მოვგლიჯო კაცს გულის თქმაზე!..

რ. ლეჩხუმელი.

მესტვირული.

ცხოვრების მატლი.

ამიიმასქნდა ქამანჩა
თავი-ი გუდა-სტვირითა:
„კვლავ სთქვიო ლექსი ალსავსე
გესლით ნაღველით, ჭირითა!“
მეც გავუგონებ, რა ვუყო:
ხან ვილხენთ, ხანაც ვტირითა,
დღეს კი თვით საგანს ვამღერებთ
თვისი ლამაზი პირითა.

ამ წუთისოფლის ჭირიმე,
ტკბილი და გემრიელია,
ვთლი და ვხრავ, თუ რომ სახრავი
ადრე არ შემომელია.
სადაც საქმეა საჭირო,
ვარ გესლით სავსე გველია,
და სადაც სიტყვა მარტოკა —
ცბიერი, როგორც მელია.

რომ სამდურავი არ შემხვდეს,
არ გადვიკიდო ჭირი მე,
სჯობს, თვალზე ხელი ვიფარო,
მტკიცედ მოვკუმო პირი მე;
ცოცხლების დარდიც არა მაქვს,
ვინც კვდება იმას ვტირი მე,
მუნ პურ-ღვინოა, სმა-ჭამა,
სოფლურ ალაპის ჭირიმე!

აბა რა ჩემი საქმეა,
ავისგან კარგი ვასხვაო?
გავსინჯო, ავსწონ-დავსწონო
პეტრემ, ივანემ რა სთქვაო?
მოძმის შავბედი ვიტვირთო,
იმისთვის ცრემლი ვაზღვაო,
ის არ სჯობს, თავს მოვუფრთხილდე
და სხვისთვის გული ვაქვაო?!

თვინიერ თავის თავისა
ქვეყნად ზუგს ვაქცევ ყოველსა,
სახე მაქვს ადამიანის,
თუმც ვემსგავსები ცხოველსა,
სხვისი ტირილის მოსურნეს,
და სხვისი ოფლის მწოველსა.
(თუ არ ამ ხერხით, სხვა გვარათ
ვინ მოსჭამს, ბიძი, სოფელსა?!)

რომ გავუწოდო მას ხელი,
რად გავიძნელო ჭირი მე?
ცოცხლების დარდიც არა მაქვს,
სხვის ტანჯვას არა ვტირი მე
და რომ არ წამცდეს სიმართლე,
სჯობს, მოვიკუმო პირი მე,
სინათლე ღმერთმა დასწყევლოს!
ქვეყნის სიბნელის ჭირიმე!

ნ. ზომლეთელი.



ეგზამენი მოახლოვდა.

ცხვირზე გვადგას ,,ეგზამენი''
სტოლზე, ღვინო, „ყიფიანი“
სწავლას მერმეც მივესწრებით
ქეიფი გვსურს რიგიანი.

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა.

იორის ხეობიდან.

ძვირფასო ძმაო ეშმაკო!
უსმინე ჩემსა თხრობასა,
არ მოვატყუებ აროდეს,
თქვენს მაღალმათრახობასა.
უჯარმა გაგეგონება,
სოფელი გარე კახისა,
მამასახლისი რომ უზის
სიტყვა პასუხის მკვახისა...
სოფელში, ბევრიც ეძებო
გლეხი არ მოინახისა
უვინიერ მამასახლისის
დანაბეგვ-განალახისა.

აგრეთვე **სართ-ჭალაში**
არ გვყავს ურიგო „ტარშინა“
ისე მუშაობს მუშტებით
როგორც სალეწი მაშინა.
კიდევ კარგია, არ იცის
გულში ჩახვევა შურისა,
სამიკიტნოში შერიგდეს
ღვინო რო მოეწყურისა.

„აბეშიკებზე'' რა გითხრა ..
დაიწყეს ძველებურათა,
„გამოსარჩენი“ ბევრი აქვთ
„ნატურითა“ და ფულათა.

„კულტურაც“ გაგვივითარდა
აოლნებისა და კარტისა,
ხელადით ღვინო წითელი
გამქარვებელი დარდისა.
ხშირად შეხვდები „ტარიელს“
სისხლით ნალები თავითა
დუქნისა წინა „მომღერალს“
კილო და ხმით. ავითა.

თუ დრო დაგირჩეს, ქმობილო,
ერთი ჩამოდი აქეთა,
ზემორე აღნანიშნავი
ზურგების სამათრახეთა.

ტურა.



ცოლ ქმარნი — შანტაჟისტები.

(სცენა ქუჩაში).

კატო. ქალო, იცი რა გითხრა?
ჩვენ ნაქვრივალ მაკასა,
აღარავინ ენდობა,
კაპიკიან მარკასა!
ქანქარი შემოაკლდა,
იმან გააკაპასა,
ხალხი პირში აგინებს,
მამის სულს და პაპას!

ფეფო. ეგრეა, ვინც ინდომებს,
ხალხის ფულის ყლაპასა:
ტანისამოსს შეიძენს
ქმარს უყიდის „შლაპასა“

კატო. რა ეგონა რო ჯიბა
ღარიბ ხალხის გროშები?
თითონ კაბა ჩაიცვა,
ქმარს კარგი „კალოშები“,
სადილებზე დაიწყო,
ინდოური, დოშები.

ფეფო. სხვებს შეხედა რომ სჭამდენ
იმან წაახალისა,
თორემ კასა რათ უნდა
ისიც „ორსულ ქალისა“?
საქმე გასტუმრებაა,
ღარიბ ხალხის ვალისა;
ამოღება ძნელია,
ყელს გაჩხირულ ძვალისა!..

კატო. ქმარს რა ღმერთი გაუწყრა,
იმ უბედურ ილოსა?
ვისი ფულით იძენდა
საპიჯაკი ტილოსა?

ფეფო. ახლა ეშმაკს მივმართოთ
ხალხი გააფრთხილოსა,
თორემ წვერი მათრახის,
ჩვენც მოგვხდება შვილოსა!..

შმაგა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა

(იმერელ სოფლის მასწავლებლის წერილის გამო. იხილე „ნიშადურის“ 41 №).

წავიკითხე ,,უჩიტელო''
შენი კალმის დანაწერი,
,,ნიშადურში'' ჩაბეჭდილი
რეაქციის დანაბერი.
ოანაც მწარეო გამეტინა,
რადგან გიცნობ ვინც ბრძანდები:
სილოვანის რაზმისა ხარ,
მის დროშის ქვეშ დაბრძანდები.
დიდხანს სდუმდი, როგორც თევზი,
დაგუმალა ქამანდები,
სანამ შენს ეურს არ მოესმა
სილოვანის კამანდები.
ახლა ტლინკებს ათამაშებ
ვით კრილოვას ერთი ,,გმირი'',
სჩანს დარია თქვენ ქუჩაზე
და გაფრინდა გასაწირი.
ქვეშ გაეგე ,,დურმიშხანებს''
როგორც იცი, როგორც უნდა,
ბედს ეწევი, თუ დროება
არ წახდა და გაგიხუნდა.

ვ. მალაქიაშვილი.



* *
*

სიცოცხლე ფუჭი, და ხალხისგანაც
დევნა, მუდმივი გაუტანლობა,
თან დუკმისათვის წელში მოდრეკა;
უოველ ნაბიჯზე უიმედობა.
ოხ მეგობარნო! ბევრი გინახავთ,
ჭვლავაც მოგელით მწარე დღეები;
თვალთაგან ხშირათ გადმოგდენიათ
უიმედობის ცხარე ცრემლები,
მაგრამ ნუ შიშობთ; ხვედრს გაუმკლავდით,
მწამს ეს დრო შავი გამოიცვლება
და იმის ნაცვლად ყველაფრით სავსე,
სხვა სანეტარო აღმობრწყინდება...
და ერთხელაც მწარ ამა ცხოვრებას,
ბოლოს მოუღებს დროთა ტრიალი;
მანამ-კი ყველგან, და ყოველთვისა,
შეგსვათ ძირ-მწარით სავსე ფიალი!..

ა. ხაბულიანი.

გ მ ი რ ს.

(მიბაძვა. ვუძღვნი გურულ გლეხ-კაცობას).

არ მომკვდარა არცა სძინავს,
ჰირმა წელში ვერ გაღუნა,
თუმცა მას თავს დასტრიალებს
ალქაჯი და მაჯლაჯუნა.
თუ დღეს სურვილს გულში იკლავს
გმირულ საქმის მოიეფე,
ეგ მიტომ, რომ კარგათ იცის,
დრო მეფობს და არა-მეფე!..
დრო იყო, რომ ალღო ჰქონდა,
ხელს უწყობდენ პირობები,
კლდესალებსაც წელში ზნექდა
მეხ-მქექარე მისი ხმები!
ძმობის ალამს მაღლა შლიდა
მის წინ მუხლებ მონაკოდი
და იმ დროს რომ ის გენახა,
შვების ალით დაიწოდი.
მაგრამ ერთ დროს ვერ შეირჩენ
ამ უკუღმართ წუთისოფლად,
მით უფრო, თუ მძლავრმა მტერმა
ხელთ ჩაგიგდო მარტო ობლად!..
მაინც გული, კაჟის გული,
ძველებურათ მას უტოკავს
და თუ კვლავ დრო შეურჩია,
მტერს ხელ ფეხს არ გაულოკავს!
არც ალამი გამარჯვების
საუკუნოთ დაუმარხავს,
მხოლოდ ხიდან ჩამოხსნა და
გულს ჩაიკრა!.. იქ ინახავს!
მოვა დრო და... კვლავ გაუშლის
იალ-ციალ მზისა სხივებს
და იმის ქვეშ სანადიმოთ
თავს მოუყრის გმირ-არწივებს!
მაშ, მეც სწრაფი ოცნებითა
იმ მყობადში ჩავიხედავ
და გმირს წინ წინ გამარჯვებას
მიულოცავ! გავუბედავ!

ნ. ზომლეთელი.

მათრახის კუდი.

„ზნეობის მასწავლებელნი“ თელავიდან.

გაზეთ „ამირანის“ მეოცდაათე ნომერს ამშვენებს ერთი ფრიად საუცხოვო წერილი თელაველი „ზნეობის მოციქულებისა“. სხვას რომ თავი დავანებოთ, საუცხოვო იმით არის ეს „პროტესტი“ რომ „ზნეობის მოციქულებ-ში“ ერთი რა არის, წამლათ ერთი საშვალო ზნეობის პატრონი არ გამორეულა. ვისაც თვალი უდევნებია „ეშმ. მათრახისა“ და „ნიშადური“-სათვის, ის მაშინვე მიხვდება „თელაველ მასწავლებელთა“ ზნეობრივ გუნიაობას. მართლაც და „თელაველ მამხილებელნი„ რომ მოკლებულნი არ ყოფილიყვნენ საშვალო ზნეობას, ეს უკანასკნელი ხომ გაცილებით ადრე იჩენდა თავს?

თელაველ „ჭკუფს“ რომ მართლა ლიტერატურული ზნეობა ალაპარაკებდეს ის ხომ აღშფოთდებოდა, როცა **„ნიშადურის“ 23 ნომერში** მეცხრე გვერდზე მოთავსებულ კარიკატურას ნახავდა?

თელაველ „ზნეობის მოციქულებს“ რომ ესმოდეთ, რა არის ზნეობა, ისინი პროტესტს გამოაცხადებდენ, როცა **„ნიშადურის“ 25 ნომერში** უკანასკნელ გვერდზე მოთავსებულ სურათს ნახავდენ.

თელაველ „ზნეობის მასწავლებლებს“ რომ ზნეობის ნიშან-წყალი ჰქონოდათ და გუნიას გემოვნებაზე არ ყოფილიყვნენ აღზრდილნი, მაშინვე ამხედრდენ, როცა **„ნიშადურის“ 26 ნომრის** უკანასკნელ გვერდზე მო-

თავსებულ წმინდა წულის პროფოკატორულ კარიკატურას ნახავდენ.

თელაველი პროტესტანტები, რომ მართდა ზნეობის პატრონი ეოფილიყვენ და არა გუნიას ეაიდაზე აღზრდილნი, ხომ ამხედრდებოდენ, როცა **„ნიშადურის“ 30 ნომერში** მერვე გვერდზე მოთავსებულ კარიკატურას ნახავდენ? თუ ვერც ეს შეარეცვდა მათ ზნეობის ნერვებს, ხომ გადაფურცლავდენ და ნახავდენ **იმავე ნომრის** მეთორმეტე გვერდზე მოთავსებულ სურათს? თუ ესეც მცირე იქნებოდა გადაეფურცლათ იმავე **მე 30 ნომრის** უკანასკნელი გვერდი, სადაც გუნია თავისებური ურცხვობა-უზნეურობით ანშკარავებს ლ. ე—ნის ფსევდონიმს.

შევე შეტინება ჩემა თავის ამბავი! განა ცხადი არ არის, თუ რისთვის ამხედრდენ თელაველი „ზნეობის მატარებელნი? დიახაც რომ ცხადია. როგორც ცხადია „მათრახში“ მოთავსებულ „კანტოვკის“ მათი მხრით სრული გაუგებრობა. იმგვარ „ზნეობის მასწავლებელთა თვის“, რომელთა ზნეობაც დიდ საეჭვო საკითხს შეადგენს, ეშმაკს აქვს გამოტდილი „კუდი მათრახისი“ და ამიტომ

პაატაშვილს, ხიზანაშვილს, ტუვაძეს და გამურელიძეს
ხახუტაშვილს, ბერკოზაშვილს, მოსიეკსა და ლომაძეს
რომ ზნეობას მიხვდენ კარგათ
სამ-სამი კუდი გადავერათ.
ვახვახიშვილს, ონიკაშვილს, ლომურსა და ბრეგაძეს,
რონინაშვილს, ოორდანოვს, გერსიეკს და კაკაბაძეს,
რომ ზნეობას მიხვდენ კარგათ
ორ-ორი კუდი გადავერათ.
სუხიტაშვილს, დუშერაშვილს, კნიაზოვს და ჯორბენაძეს
კურდღელაშვილს, მაისუროვს, ნატრიშვილს და ბარამაძეს
რომ ზნეობას მიხვდენ კარგათ
თითო კუდი გავერათ მაგრათ.

ეშმაკი.

უ მ უ შ ე ვ ა რ ნ ი

III

იქ კი, ქუჩაში, ის სურათია,
კვლავ უგულობა, მე საკუთარი,
მიმოდის ხალხი პირ საქმიანი,
უგრძნობი, გულქვა, ვით კუბოს მკვდარი...

ისიც, ის ჩვენი კარგად ნაცნობიც
სხვებრ გადაცურდა ქუჩის ტალღებში,
მანც შეამატა თავისი თავი
ქუჩის დგანდგარში, გაურკვევ ხმებში.
„შენც აქ ხარ? მაშ მო, წავიდეთ,
ნუ ვიგვიანებთ, მზათ ვართ ჩვენ უველა!“
უთხრა ვიდაცამ უაზროთ წინმსვლელს,
რაკი მარტოკა ის დახელა.
ამ სიტუვის თქმაზე ორთავე ერთად
ელვასებრ მოწუდენ ქუჩას მდელვარეს,
ნაცნობ ადგილებს, მათ ტანჯვის მოწმესთ,
რადაც ჩურჩულით შემოუარეს...
ფიქრობს ორივე: „იქნებ ამ ხელათ
მაინც რამე ვქნათ, რიმე გავხდეთ!
უწინდებურათ გამოუცდელნი
ადარ შევშინდეთ და ადარ წავხდეთ!
თავს არ დაზოგავს ჩვენგან არც ერთი,
მზათ გვაქვს სულ ეველას იარადები...
თუ კი შეგვარგეს იმ მტარვალებმა,
არ წაგვამწარეს ეს ანადები“.
ხანდიხან კიდეც გაიფიქრებენ,
რომ ასრულებენ ცუდ ფიქრ-განზრახვებს ..
მაგრამ სიმშილი თავის სიმკაცრით
რას არ გვაჩვენებს, რას არ გვანახებს?
ორს კიდევ ორი გზად მიემატა .
აი, მივიდენ დანიშნულ უერეს:
ველარ ამჩნევენ ლუკმის მდოდელნი
თოფით მდგომ ბნელში იქ მეთვალეურეს...
აი, გამოჩნდა უკვე ის ეტლიც,
თან მოსდევს უკან მას დარაჯები...
უცებ გაისმა საშინელი ხმა
და შეზანზარდა მთელი ქუჩები...
ლ.ლგ კვამლ-მტვერი, ეკირიდ-ეიეინი,
ჭერს მოედო სუნი სასარი...
კიდევ წამი და... ქუჩას სისხლიანს
გულზე ეკარე ხუთამდე მკვდარი...

ვ. მალაქიაშვილი

„შენ რო მოსვედი სვინაო, მე მივდიოდი შინაო“.

ორი „გმირი“.

(აჩრდილი კომედიისა)

(ფანტაზიასავით)

მოქმედნი პირნი: პირველი რედაქტორი—50 წლისა.
მეორე რედაქტორი —40 წლისა.
ბედის ვარსკვლავი.—

(მოქმედება სწარმოებს იქ „სადაც ჯერ არს“)

შესავალი.

ოდეს მზის სხივი
ცას აეყარა
და მიწას ბნელი
გადაეფარა,
დასდუმდა ყოვლი,
დღით ფეთქავს რაცა,
„თითქო ისვენებს
მიწაც და ცაცა“.
მაგრამ ბნელეთის
მონავარდენი
მიწას ასხია,
კიდევ რამდენი?!!
ჰოტმა აუშო
გლოვის ნაღარა,

ბუმ გადაჭკვეთა
ცისა კამარა,
ღამურა თაგვმაც
დასტოვა ხვრელი
(ჟამი დაუდგა
აწ სანატრელი.)
ყველა, (მზის სხივებს
ვინც ემალება),
ღამისა წყვდიადს
ენაცვალება.
(ესრედ, ერთობის რა დასცეს ძალა,
ცხოვრება მყისვე გამოიცვალა.)
და კაცთა შორის ქვეწარმავალი
გამოგვიცურდა ფრიად მრავალი.

—

მოქმედება არცა პირველი
და
არცა უკანასკნელი.

(გამოსვლა პირველი)

მეორე რედაქტორი: ნეტა ვიცოდე რა მიმაჩქარებს,
„სადაცა ჯერ არს“
იმ სახლის კარებს,
სინდისი ვითომ, ვის მიაკარებს?
ოჰ, ეს ნიავი!..
სევდას მიქარვებს!!.
აშლილთა ნერვთა სიმებს მიწყნარებს.
(შედგება. ქაღალდებს სინჯავს. გაოფლიანებულ შუბლს იწმენდს და კარტუზს გვერდზე იგდებს, შემდეგ შეხედავს ვარსკვლავს.)
მეორე რედაქტორი. ბედის ვარსკვლავო,
სხივ მოციმციმე!
მარქვი რაც გკითხო შენი ჰირიმე...
ჩემი ცხოვრების
ამ ქვეყნიერის,
ცოდვით აღსავსის და ბიწიერის
მარქვი გენაცვა
აზრი რა არი?
ვარსკვლავი. მხოლოდ ქანქარი, მხოლოდ ქანქარი!!.
მეორე რედაქტ. ოდეს სინდისზე
მთქმელი ვარ ვარის
გამოსარჩენი თუ რამე არის,
მარქვი მიზანი
აქ რაღა არის?
ვარსკვლავი. ტრფობა ქანქარის, ტრფობა ქანქარის!
მეორე რედაქტ. როცა ვისწრაფი
ნაბიჯით ჩქარით,
„სადურმიშხანო“ ხელში დავთარით,
რით დაცხრეს გული
ესეც მითხარით.
ვარსკვლავი. მარტო ქარქარით, მარტო ქანქარით.
მეორე რედაქტ. როს განსაცდელი
მომადგეს კარზე
ლოცვა ვერ შევსძლო ხატსა და ჯვარზე
მარქვი ვარსკვლავო
ვილოცო რაზე?
ვარსკვლავი. მხოლოდ ქანქარზე,
მხოლოდ ქანქარზე.

(რედაქტორი გამოერკვევა ფიქრებიდან და გზას განაგრძობს)

მეორე რედაქტორი. აი სასასახლე, „სადურმიშხანო“
შევალ, რომ აღარ
დავიგვიანო...

(გამოსვლა მეორე).

—

(„სადაც ჯერ არს“ იმის კარებიდან გამოდის პირველი რედაქტორი, ესეც დურმიშხანული ქაღალდით ხელში უცებ შესდგება).

პირვ. რედ. (გამოდის)
ოჰ, გამარჯობა ძვირფასო სვინა,
ეგ რამ შეგაკრთო,
რამ შეგაშინა?
ნუთუ შეხვედრა ჩემი გეწყინა!
მეორე რედ. რას ამბობ ძმაო,
გულისა სწორო
შენც რედაქტორო, მეც რედაქტორო,
აბა რა არის
აქ მოსაწყენი
საამოც არის შეხვედრა ჩვენი.
ორი მებრძოლი
ქანქარისთვინა
ბედმა შეგვყარა სამსხვერპლოს წინა.
პირვ. რედ. მომწონს ეგ ქცევა
ძვირფასო სვინა,
მადლი ღმერთს, რამაც გაგაბედვინა?
მაგრამ **როცა შენ**
სასწავლათ მოხველ,
მე განსწავლული მივდივარ შინა!
მეორე რედ. ასე სჩვევია
ამ სამყაროსა,
ბედისა ჩემის გასახაროსა:
„ერთი წავიდეს,
სხვა ჩამოვიდეს
ტურფასა ამა საბაღნაროსა“
პირვ. რედ. სულს სული იცნობს
და გულსა გული!
იკურთხოს ჩვენი „დურმიშხანული“.
(ერთმანეთს გადაეხვევიან პირველი გამოდის იქიდან, „საიდანაც ჯერ-იყო“, ხოლო მეორე შედის იქ, **„სადაც ჯერ არს“**).

(ფარდა)

ეშმაკი.

მოხსენება,

მირთმეული მღვდლის იოსების ჩიჯავაძისადმი ლიხეთის ქვეყნის მოსადგარეთაგან.

მამაო წმიდაო! *)

სამებამან სამჴმიდაარსმან, ერთღვთაებამან და ერთმეუფებამან, მამამან, ძემან და სულმა წმიდამან, რომელმან წამისყოფითა ჰქმნა ცაი და ქვეყანა, ხილული უხილავითურთ, მოგმადლათ თქვენ გონიერება მაღალ, ენამჭევრ, ზნე ქველ. თვისებათა ამათ გამოაჩინებს ლვაწლი იგი თქვენი სემინარიასა შინა. ჰაზრი იგი თქვენი, რომელ უალრეს ტკბილისა საყნოსვლესა სათნო ეყო უფროსთა თქვენთა, ვითარ იმერნი იგინი ფრიად მოხერხებულ, რომელ არს თარგმანებით რუსთა ენასა ზედა კლიაუზნიკ, არიანა, რამეთუ იგინი ჰპოვებენ ყოველთა პირთაგან ვიდრე ეპისკოპოსამდე ყოვლადვე ცრუთა მოწმობათა სილარიბისათა და ესრეო მოაჩვენებენ თავთა თვისთა გამგეობასა სემინარიისასა ლატაკ, შებრალებისა ღირსად, ვითარცა ოდესმე გაბაოხელთა მათ უქმნიეს დღესა იესონავესასა,—ჰაზრი ეგე ფრიად ჭეშმარიტ არს. კვალადცა ჭეშმარიტ არს სიტყვის გემაი იგი თქვენი, ვითარ იმერნი არიან ბიძისა წულ ქართლელთა და კახელთათვის, ვითარ იგინი ფრიად ბოროტ და კარგისა მოსწრებულად სიტყვისა მიმგებ არიან. არა უძევს მათ წილ სემინარიასა ტფილისისასა, ვითარცა „მოსულთა“ („ისარი“ № 26), სიტყვისაებრ თქვენისა (ხოლო ჩვენითა ჰაზრითა სიტყვაი ეგე ფრიად ლმობიერ არს, ჰხამდა ბრძანებად: „მოთრეულითა“) უცხოისა ქვეყანისაგან, ვითარმედ იმერეთ არს ქვეყანა იგი უცხო ქართლისა და კახეთისა წილ.

რაისათვის ჰგონებენ ცბიერნი იმერნი ალზრდად შვილთა თვისთა ჩილწთა და განბრძნობად ყოვლითა ოდენ სიბრძნითა სემი არიასა შინა თბილისისასა? ნუ უკვე არ ეყოფით მათ ავაზაკობითა თვისითა წარტაცებად სრულიად საქართველოისა მეფეთა დავითისა აღმაშენებელისა, თამარისა სხივოსნისა და სხვათა დამარხვად აუგილსა მას გელათისასა?

ჰოი ცბიერო და გვლარძნილო ერო! რაოდენ ძალუმარს გესლი იგი სიბოროტისა შენისა! რაოდენი წარიტაცე სიმდიდრე ქართლელთა და კახელთა, ვინ მოსთვალოს იგი? რაოდენ შეაწუხე ქართლისა ეპარქიისა მოსადგერანი: რუსნი და ბერძენნი, ოსნი და ურმიელნი?

ჭეშმარიტ არს სიტყვაი: „არა ჯერ არს მოღებად პურისა შვილთაგან და დაგდებად ძაღლთა“ (მათ, 15, 26). დღისითგან აღმობრწყინვებისა სხვისისა სემინარიისა ქართლი და კახი, ჰერეთი და კუხი შეინახვიან შვილთა იმერთასა, რომელ მიუგდებენ მათ, ვითარცა მფრინავნი იგი გუგულნი მიუგდებენ კვერცხითა თვისთა ბუდეთა სხვათა მფრინავთასა და ესრეთ აზრდევინებენ შვილთა თვისთა.

ხოლო ხარჯი სემინარიისა შესანახი, ვითარცა გამოგვიკვლევიესთ, შედარების წლითი-წლად დრაჰკანსა 260,000 („ისარი“ № 28)**). ჯერ არს ამოგებად, რაოდენიცა წარუტაცოს ბოროტთა მათ წლითგან ჩყიზ ვიდრე აქამომდე, რომელ იქმხების, უკეთუ მხოლოსა ნახევარსა აღვიდგინებთ განმავლობასა ცხრა-ათ წელსა, დრაჰკან 130,000×90=11,700,000. ესოდენ დიდ არს არტატებული იგი საუნჯე ჩვენი, თვინიერ შენობისა მის და შესანახისა სინოდისა კანტორისა და ეგზარხოსისა ჩვენისა. კვალადცა ჯერ არს ამა უკანასკნელისა საკუთარად ჩვენდა მითვისებად და ესრეთ შთაგდებად იმგრთა ქირსა შიკან!

მამაო წმიდაო! ჩვენ გვესმა, ვითარ სიტყვასა აკსა გვადრებენ ვიეთნი მე პირნი ბილწნი. გრწმენინ, მამაო, ვითარმედ ჩვენთან არს ღმერთი! მარადის იხსენებდი, ვითარ უფალმან ჩვენმან თავს იდვა ტანჯვა ვიდრე სიკვდილამდე ურწმუნოთ ურიათაგან. ნუ გეშინის ცემულ იქმენინ სიყვარულითა მოძღვრისა თქვენისა, ღირსისა მამისა კ—ისა, სკვითთაგან წამებულისა, რომელიცა ოდესმე იტყოდა, ვითარმედ „ეკკლესია ქართველთა კეთილ-დღეობასა შინა არს, ფრიად მაღლდების, ჟამითი-ჟამად ახლდების ახალ-ახალითა სახეებითა“ („Краткій Очеркъ исторіи Груз. Ц.“ стр. 16. *)

ხოლო ერთსა გკადრებთ, მამაო! მოჰყავ ყური შენი და ისმინე ჩვენი. ჩვენ, ამისა მომრთმევნი, თუმცაღა ვიგულვით იმერად და ვსცემობთ იმერეთსა ზემოსა, ქვეყანასა ლიხეთსა, სადა იგი სდიან წყალნი ძირულისა და ჩხერიმელაისანი, გარნა ნამდვილ არა ვგიეთ იმერ. იმერთა მათ მზაკვრობითა თვისითა ტყვე გვყვნეს და მოგვწყვიდნეს დედასა ქართლსა. ეგოდენ შხამ არს საწერტელი სიბოროტისა მათისა!

მას ჟამსა შინა მოძღვარნი ჩვენნი იკურთხეოდიან ქალაქსა ნიქოზსა, ხოლო აწ წარსაწყმედელ სამძს ქუთაისსა შინა. ნუ შეორგულდებიან, მამაო, ვითარ იგი ვიტყოდეთ სიტყვასა ფუქსა. ნაშთნი იგი ძველნი ვიდრე მეტრიკულთა წიგნთადმდე ჩყო წლამდე გამოაჩინებენ სიმართლესა ჩვენსა. კვალად კა ვიმოწმებთ ისტორიისა და გეოგრაფიისა მცოდინარსა პატონიშვილს ვახუშტის (ესე სარწმუნო არს, რამეთუ იგი იმერ არა არს) მას შინა, რომელ ქვეყანა იგი ლიხეთისა, ხეობანი ძირულისა და ჩხერიმელაისა, ვიდრე კახნისა წყლადმდე და დაბისა კერტყვილისა, არს ქართლისა. აჰა იგიცა მოწმობაი: „სურამისა დასავლით ლიხის მთას გასდის ხეფინისხევს წყალი და შიერთვის ძირულს. არამედ არს კერტყვილამდე ქართლისა, და უწოდებენ ვერტყვილიდამ ნადაბურამდე ხეფინისხევსა... ფონას გასდის ჩხერიმელის მდინარე და მიდის დასავლეთ სამხრეთშუა მებოძირის ზეითამდე, მას ქვეით დაბის ქვაბამდე არს ქართლისა“ (ვახუშტი. „საქ. გეოგრ.“ გვ. 122). ნუმცა შევალს, მამაო გულსა თქვენსა ეჭვი, ვითარმედ საბუთნი ესე მოყვანილ არიან იმერულითა „მოხერხებითა“, გინა ხრიკით.

---

*) ვუწყით, ვითარ ეგრეთ იხსენებით ეპისტოლეთა შიგან, რომელთა მიიღებდით ჩრდილოით კერძო თქვენისა მოძღვრისაგან. ეპისტოლენი იგი იკითხებოდის ყოველთათანა განსადიდებელათ შემდგენელისა მათისა, რომელსაცა, ვითარ ვიეთნიე მე მოუთხრობენ, აწ ეგულვების შეკრებად ეპისტოლეთა მათ შთამოებისთვის საანდერძოდ.

**) დრაჰკანი—20 კაპ.

*) უწყოდეთ, რამეთუ კაცი ესე შემდგომად ჟამად რწმუნებასა უყოფდა ქალაქსა ჩრდილოსა კრებასა ღვთივ განბრძნობალთა მამათასა, ვითარ ეკკლესია იგერიისა დაკნინდის და აღოხრდის უკანასკნელსა საუკუნესა. ხოლო წმიდა იგი კრება სიტყვას უგებდა მას ესრეთ: „მეუფეო წმიდაო, ოდეს იტყოდი მართალსა, წელსა ჩშა—სა, ანუ აწინდელსა ჟამსა?“ და ემსგავსებოდა მდგომარეობაი კაცისა მის მდგომარეობასა კაცისა უგუნურისასა, ოდეს იგი აღიღებდა კაკალსა ერთსა და იტყოდა: „უფალო აღავსე სახლი ჩემი ყოვლითა ოდენ სიმდიდრითა, ვითარცა კაკალი ესე,“—და ჰყო შემუსვრაი კაკლისა მის, რომელიცა აღმოჩნდა ფუჭ. ხოლო კაცი იგი ღაღადებდა ხმითა დიდითა და იტყოდა: „უფალო, ძაღლსა უყეფიეს, უგულებელს ჰყვენ სიტყვანი იგი ჩემნიო“ და ესრეთ შეინანებდა უგუნურებასა თვისსა.

აწ ვედრება ჩვენი ესე არს: მიგვიღე საფარველსა ქვე-შე თქვენისასა, ნუმცა დაგვიტევებ წარწყმედად ბოროტთა იმერთაგან. მეოხ გვეყავ ჩვენ მოშორებასა ამათგან და შეერთებად ეპარქიისა ქართლისა და კახეთისათანა, ვითარცა იგი ოდესმე და ჩვენცა, დამმარხველნი გულთა შინა ჩვენთა სიკეთისა ამის, მოვიქცევით ქორწინებად ქალაქსა ტფილისსა, საჩიჯავაძოსა*) ეკკლესიასა, ოდეს მოგვინდების ძველის ცოლისა განტევებად და ახლისა შერთვად სალხინებელად გულთა ჩვენთა და განმრავლებად ერისა მრავლისა.

გვასმენს, ვითარმედ სიტყვასა თქვენსა მიღებაი ფრიადი აქვს, სადაცა ჯერ არს, და ნუ უგულებელს ჰყოფ ვედრებასა ჩვენსა, რათა ჩვენ, ჰოი მამაო სახიერო, ვაქებდეთ და ვადიდებდეთ ყოვლად ქებულსა და დიდებულსა სახელსა შენსა უკუნითი უკუნისამდე ამინ.

ნამდვილთან სწორია: ლიხელი.



ვლეხის ჩივილი.

ავალად ჩამიქრეს გულის სიღრმეში,
მომავლის რწმენა, ტკბილ-იმედიც;
მიწას ჩავცქერი, მიწას ჩავსტირი
შიშით მაღლა ვერ ამიხედია.
თუ რომ გავბედე დაგმარი ენა
და სიტყვა სწორი გამიბედია
თავს ყორანივით უღვთოდ დამხვდებს,
ჩვენი ბატონი თავზედ უბედის!
ძნელი უდელ ქვეშ ვით მუშა ხირუტავს
მეც წამიხრია მონურ ქედია,
თუ ავიმართე შავი დღე მელის
სხვანს ეს ყოფილა ჩემი ბედია.
ვინც მუდამ მამულს შესტრფიალებდა
ეპუთვნის მისი მინდორ ქედია,
სწორეთ მათგან ვართ ასე დასჯილნი
მათგანვე სისხლ-კარ წანახედია.
მიტომ ეტრფიან სამშობლოს და ერს
რომ ჩვენ ვართ მათი კვეს-აბედია,
ჩვენს ზურგზედა აშენებული
მათი სამშობლო, სვე და ბედია.
მე კი, ოხ, ძმაო სად მაქვს სამშობლო
სხვის სამსახურში მთლად დავბერდია
თუღლს ვდგრი სისხლით ვრწყავ მათ მამულ-დედულს
ერთი მაღლა ვერ ამიხედია.
არ გჯერა „ბურჟუა ეროვნებისა?"
ბრაზით სავსე რას დამაცქერდი?
თქვენ არ გეკუთვნით განა ეს ველი
ჯეჯილ-გაშლილი ვით ხავერდი?
მაგრამ, ეჰ, კმარა გიცნობთ ვინცა ხართ
თქვენ არ გაწუხებთ ჩვენი ბედია,
პროლეტარებო ჩვენ თქვენთანა ვართ
თქვენით გვიდგვის გულს იმედია.

გ. ქურიშვილი.

*) ესეცა უწყოდეთ, ვითარმედ ორ არს საჩიჯავაძო: ქალაქსა ტფილისსა, ადგილსა ნავთლუხსა და მეორე იმერეთსა, სახელწოდებით „ვაკესა" (ვახუშტი, „გეოგრაფია" გვ. 291).

„ე შ მ ა კ ს!"

(სალეჩხუმო)

ჩემო კარგო ეშმაკო! მათზე მათრახის ხმარებამ არც ისე უმნიშვნელოთ ჩაიარა და შეჩახმახებულნი მხედარნი ლეჩხუმისანი მე ხომ ჩემსას არ დამაკლებენ, მაგრამ იმდენი მამიჩემის სული ცხონდა, რამდენი შენც მოგცხონ თუ იხილეს უხილავი შენი სამყოფი! ეს არის და ეს თორემ სხვაფერ მაინცა და მაინც არ არის გლახა ამბები! მართალია ამ ცოტა ხანში ზედა წრეებში რაღაც მიწერ-მოწერა დაიწყეს, და კარგა ხნის ნამსახური ალექსანდრე ბაქრაძე მამაშვილურის დარიგებით გაისტუმრეს, მაგრამ ასეთი გასტუმრება რა ჩასათვლელია ლეჩხუმის საგმირო საქმეთა შორის?!!

ლაილაშელი ვაჭარი ნიკო ისევ მათრახს უპირებს ზურგის შეშვერას და ტფილისისაკენ ისე არ შობა პირს, როგორც ურია ღორის ხორცისაკენ! ცოტა არ იყოს მე მიწყრება, რადგან „ოტსტავნოი" ვგონივარ, მარა იმედია დაარწმუნებთ, რომ ისევ სამსახურში გახლავარ და „ოტსტავნოი" არასოდეს არა ვყოფილვარ. თუ მაინცა და მაინც თავისი არ დაიშალა, ჩემზე იყოს ამის პატივის ცემა და თუ კარგი მაინძლი ვერ გამოვდექი ეს ულვაში აღარ მებას მაშინ!

სხვა რა მოგწერო ჩემო კარგო, ახალი არა არის რა მის მეტი, რომ თუ ბოროტ ხმებს დაუჯერებთ: პეტრე ქესხაძემ ცოტა ფარა მოთხოვა იაკობ კაჭკაჭოვს ისე, შანტაჟისტებმა რომ იციან და ქუცინშსაც ორიოდე გროში მოითხოვეს ალექსანდრე გეგლოვანის სულის მოსახსენებლათ.

ნაცნობი.





ხორცის საკითხი ქალაქის საბჭოში.

ხ ო რ ც ი.

რა კარგია მძლავრი ხელი,
ოდეს ხორცის სადარდელი
არ გასვენებს?!!
ოდეს ხმოსნებს პატიოსნებს,
უსაქმურს და უდარდოსნებს
თითს უჩვენებს!
უნდა ნახო დოღი მათი,
„ზაპროსები“ და კამათი!
გაოცდები.
ვის აწუხებს მძიმე დარდი,
ბოზბაში და სუკის მწვადი
ვერ მიხვდები.

ჰმ!

ფოთელთა საყურადღებოთ.

უფულენციით ავათმყოფთა საუცხოვო ექიმი.

უპრაცენტოთ ასესხებს ფულს შემდეგ პირებზე: ვისაც ლამაზი ცოლი, ან და, დეიდაშვილი, ან ახლო ნათესავი ვინმე ყავს. პათვე უმასპინძლდება უხვათ ლამაზებს აძლევს: ერთ ორ-სამ ვერცხლის, ოქროს, ქაღალდის ფულს, დუხს, ფაიტონში აკატავებს, ეთამაშება კარტს, მოუგებს აკოცებს, წააგებს აკოცებს. სამაგიეროთ თხოულობს: უნდა თუ არა შეიყვაროს. თუ თავ ჩაქინდრული იყოს გაამხიარულოს...

შემდეგ კინწისკვრით, ჩხუბით, აყალ-მაყლით, ცხვირპირის მტვრევით, გვერდის დაზელით ქუჩაში ქანქარის მიგდებით და სცილდება.

ადრესი მათი: ქ. შფოთი, კონკის ქუჩა, რკინის გზის კაკარდოსანი, ხან თორმეტ ფოლაქებში ხან არა. ბულვარდში გაკვრით, აჩაბაჩათ მოსიარულე, ზამთარ-ზაფხულ ფერჩატკებში, ეტლის მოსიყვარულე უნიადაგო, ორ სკამზე მჯდომი. კაცებს იღებს მათი აღმატებულება მხოლოთ ხუთი წუთით, ქალებს კი ყოველ თავისუფალ დროს, მაგრამ, რადგან კაპრიზნები არიან, ვინც ერთხელ გაუშინჯავს მაჟიას ვარს უწი.

ეძებს ფოთშივე პოსტავშჩიკ-სვოდნიკ-გამრიგეს ფერად რიჟას.

სტუმრათ სიცხე.

წერილები ეშმაკისადმი

სამტრედიის რაიონი. „მელალურობას“ („მელალური“ ფრინველი არ გეგონოთ, ჩვენში მელალურობას ეძახიან აღდგომის მეხუთე დღეს, ამ დღეს დიდი ყრილობა და კამათი იმართება) ჩვეულებრივათ დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ილაპარაკეს საჭირბოროტო კითხვებზე ამ დროს ვიღაცამ გაისროლა ბურთი. დაინახეს თუ არა ეს „წესიერების დამცველებმა“ არიქა ბომბა გადააგდესო და დაერივნენ ხალხს. ამით ისარგებლა „დათიკომ“, შეხტა „ჯირკვზე“ და ერთი დიდი აგიტაცია გაუწია ხალხს. ამ აგიტაციის წყალობით დიდი შეხლა-შემოხლა მოხდა, საბედნიეროთ შემთხვევით მე იქ ვიყავი და ვასხურე „კუდინის“ წვეთები, თორემ საქმე ცუდათ დატრიალდებოდა. როგორც იქნა დავაშოშმინე „მალალურისტები“ და აქედან გავსწიე „ჯვარცმისტებისაკენ“. სიმართლე უნდა გითხრა იქ დარბაისელ ხალხს მოეყარა თავი უმეტესად ბრწყინვალე წოდება იყო. დიდი კამათი იყო გამართული. აგრარულ საკითხს არჩევდენ. ერთი ჯვარიანი თავადი გულში ხელს იცემდა და ისე იგონებდა წარსულ, ბედნიერ დროს, სხვები თხებივით თავებს აკანტურებდენ, ბოლოს კასიონი და ლევან ქაჯაია შეეკამათენ ერთმანეთს. პირველი უმტკიცებდა მეორეს, რომ გლეხების მოთხოვნები სამართლიანიაო, მეორე კი გაიძახოდა ჩვენი გლეხები რუს მემამულეებს უნდა ებრძოდენ, რადგან მთელი მამულები მათ ხელშია თორემ ჩვენთან რა უნდათო. დასამტკიცებლათ ის ფაქტი მოიყვანა, რომ სახელმწიფო საბჭოში განსვენებულ ილიას მაგიერ აღარავინ არ აირჩიეს. ხოლო გლეხების მტრები, რომ ვყოფილიყავით მის მაგიერ ვლადიმერს ავირჩევდითო. სწორეთ გამიკვირდა და რა დასამტკიცებელი საბუთი იყო ეს ფაქტი. სად საბჭოს წევრი და სად გლეხებსა და მემამულეებ შორის განწყობილება. კამათი მეტად გამწვავდა, მაგრამ ამ დროს ვაღაცამ ასტეხა ჩხუბი და შეიქნა მათრახების ფრიალი. მეც ვისარგებლე ამ შემთხვევით და არა ერთს და ორს ავუწვი ზურგი ჩემი მათრახით. ზოგს კუდინიც კი ვაყლანწვიე. ასე სამარცხვინოთ გათავდა 20 აპრილს მიქელაძენის დებატები. მინდოდა ცოტა რამ აქაურ დეპოს მუშათა პროფესიონალურ ბიუროს წევრთა მოღვაწეობის შესახებ მომეწერა, მაგრამ შემდეგისთვის იყოს.

„ჩორთიკა“.

—

ს. ნოსირი. ეშმაკო! აიკიდე შენი „კუდინ-მათრახი“ და აუცილებლათ ჩამოდი ჩვენ სოფელში. შენი ჩამოსვლა მეტის მეტათ საჭიროა. პლატფორმიდან პირდაპირ ილარიონის დუქანში მიხვალ. შეიძლება ილარიონ დუქანში არ დაგიხვდეს. იმ შემთხვევაში უსათუოთ სოფლის კანცელარიაზე უნდა მიხვიდე და იქ ნახავ. მასთან იქნებიან მამასახლისმწერალი და სამივე რიგზე შემიხურე შენი მათრახით, რომ „სანაქებო ხელობას“ თავი დაანებონ. იქვე ახლოს სცხოვრობს პეხუ, აუცილებლათ შეიარე მასთან, იქ დაგხვდება ილაკრიც და ორივეს ლაზათიანათ აგემე შენი სუსხი—თუ დრო დაგირჩება სამათრახოს სხვებსაც მოგინახავთ. ჯერ ეს იყოს.

გოჩა.

—

ხ. ეწერი. ცხონება თუ გინდა. ეშმაკო, ერთი როგორმე ჩვენ სოფელში უნდა ჩამოხვიდე და ჩვენი სკოლის მასწავლებელი გ. ც-ძე გაგვიმათრახო. ამისთანა მადლს შენ სიცოცხლეში ვერ იზამ ნამეტანი გაიტაცა ამ ბოლო დროს ქანქარმა. სკოლის შემოსავალს სულ თითონ იტენის ჯიბეში. საბუთათ რაღაც „უსტავს“ იგონებს. ამასთან ერთათ ანდრი მურვანიძის და ამბაკო ანთაძის შეხურებაც კარგი იქნება. მიზეზს თვითონ მიხვდებიან.

უსახელო.

—

დ. აბაშა. დიდათ საჭიროა დ. აბაშაში ჩამოსვლა და ჩვენი დიდებული ივანე იოსელიანის გამათრახება. საჭიროა იმიტომ, რომ ის საზოგადოების კაცია და ძალიან ზრუნავს საზოგადოებისთვის. ივანეს შემდეგ მასწავლებელ ხოშტარიას ძალიან მოუხდება მათრახის წვერი და სპერმაკუდინი. ამით იქნება გამოფხიზლდეს და განიკურნოს გადამეტებული ლოთობისგან.

ალიკო.

—

ს. ნაისაკოვი. ჩვენი მასწავლებელ-მღვდელი ნიკო ძალიან დაეჩვია ქათმების და ხაჭაპურების ჭამას. ეგზამენების დროს ისეთ სადილს მართავს, რომ ჩიტის რძეც კი არ აკლია. მისი სავალდებულო დადგენილების თანახმათ მოსწავლეებს ზოგს ხაჭაპურები მოაქვთ, ზოგს ქათმები, ზოგს ღვინო და ზოგს სხვა. ამ აკრეფილ ხარჯით ნიკო გულუხვათ უმასპინძლდება სტუმრებს. მომავალ ეგზამენებისათვის ის უკვე შესდგომია ხარკის გაწერას მოსწავლეებზე. აუცილებლათ საჭიროა, სანამ თავის განზრახვას სისრულეში მოიყვანდეს ერთი მაგრათ ვუცხუნოთ მათრახი.

გამომძიებელი ეშმაკი.

—

ქობულეთი—თუ კი ქვეყანაზე ვინმე ღირსია თქვენი მათრახის და „სპერმაკუდინის“ აქაური დამოჟნის მმართველი დ. გოგიტიძე არის. ამ ბოლო დროს ცილის წამება დაიწყო და თათრების ჩამოტანილ ერბოში და თევზში მუდამ გასვრილი აქვს ხელები. სამათრახო ბევრია აქ მარა ჯერ-ჯერობით გაგვიმათრახეთ დავითი, პორფირე და ერთიც შავწვერა კაცი. და როცა ესენი ჭკუაზე მოვლენ დანარჩენებსაც მერე მივყოთ ხელი.

ქობულეთელი.

—

ქ. ოზურგეთი. სამოქალაქო სკოლის ინსპექტორი ბოგდიხან-გორგასლიძე, მიუხედავათ იმისა, რომ თქვენი მითრახის წვერი იგემა, მაინც ვერ განიკურნა ზნეობრივ ავადმყოფობისაგან. ის ისევ ისე ძველებურათ რიხიანათ გაიძახის; „ღმერთო კი მომკალი როგორ შევუშინდები ვიღაც ყაზილარებს, რას დამაკლებს ეშმაკის მათრახი, როცა ტყავი კამეჩის ტყავზე უფრო სქელი მაქვსო“ შარშან თუ ცხენი მოკლა სირბილით, ახლა ლინეიკაც ზედ მიაყოლა და დაამტვრია. შარშან თუ მასწავლებლები რევოლიუციონერებათ მონათლა და შემოიფანტა, ახლანდელ მასწავლებლებთანაც ვერ აქვს კაი განწყობილება და ეკვი არაა იმათაც წინანდელების გზას გაუყენებს. ყველა ამ დიად მოღვაწეობასთან, ბოგდიხან-გორგასლიძემ, როგორც ტიპიურმა ფედერალისტმა რუს-ინსპექტორის მიერ დაზოგვილი შვიდასი თუმანი შეიმასქნა. რუსის დატოვებული ფული ქართულ სკოლას აწყენსო. სოფლის მასწავლებელთა კრებაზე ყველას ფეხ-ქვეშ ეგებოდა და „დუშკას“ ეძახდა, ხოლო როცა თავის საყვარელ ხულიგნებში ჩავარდა დაიწყო ლანძღვა-გინება: „რა თავს იგდებენ (მასწავლებლები) და რაებს ბედავენო და სხვ. ერთი სიტყვით ბოგდიხან-გორგასლიძემ დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს და კერძოთ გურიას. ამიტომ ჩვენ ოზურგეთლებმა ერთხმა,, დავადგინეთ მის პატივსაცემლათ გამოვიწეროთ თქვენდან ათი საწყავი სპერმაკუდინი და ოცი მათრახი. იმედი გვაქვს ადრე გამოგვიგზავნით, რომ ღირსეულათ დავაჯილდოვოთ ჩვენი მოღვაწე.

კუდრაჭა.

—

ს. ჭალა. ძმაო ეშმაკო! ეწვიე
ბოხვაურსა და ჭალასო,
იქ ნახავ საშსა დიაცსა
უსაქმურს, მაჩანჩალასო;
თითონ საკიცხი სხვებს ქირდავს
და ჭკუას ატანს ძალასო,
ისეთი მისცხე - იფხანდეს
თეძოს და თავის ქალასო.

თოლა-ბულთა.

—

ქ. ფოთი. გაგებული გექნებათ ქოიავა-ქასრაძე-განგიას გმირული საქმეები. კ. ქოიავა რწმენებულათ აირჩიეს ფოთის ტრამვაის მოსამსახურეებმა, რომ ქალაქის თვითმართველობისგან იჯარით აეღოთ ტრამვაი. ქოიავამ საქმე გააკეთა, მოსამსახურეებს პირში ჩალა გამოავლო და ტრამვაი თვითონ ჩაიგდო ხელში. თვითონ გახდა მოიჯარადრე. ამის გამო მოსამსახურეებმა საამხანაგო სამართალში გამოიწვიეს კ. ქოიავა, შემდეგ გაზეთის საშუალებით სამედიატორო სამართალში გამოიწვიეს, მაგრამ ვერავითარმა საშუალება ვერ გასჭრა მაზე. დასასრულ მოსამსახურეებმა ზიზღი გამოუცხადეს მას (დასაწყისი № 15) მაგრამ ქოიავაზე ვერც ამან იქონია გავლენა. ეხლა დაგვრჩენია უკანასკნელი საშუალება ვიხმაროთ თქვენი უებარი წამალი სპერმაკუდინი და მათრახი. თუ ამ საშუალებამაც არ გასჭრა იმედი დაკარგული გვექნება ქოიავას მორჩენის. გთხოვთ ფასდადებით გამოგვიგზავნოთ ორი ჩაფი სპერმაკუდინი და ათი მათრახი.

ფოთელი დევნილი.

—

ხონი. ძმაო ეშმაკო! მიიღე რა შენგან სრული ნდობის ფურცელი, შესახებ ადგილობრივ ცნობათა აღნუსხვისა, ვეცდები ეშმაკურის მიუდგომლობითა და სისწორით წარმოგიდგინო ყოველ ოთხშაბათ საღამოსათვის საჭირო ცნობები ცხოვრებისა ჩვენისა, როგორც ადგილობრივ ხონში, აგრეთვე ახლო მდებარე სოფლთა.

დღეს-დღეობით, ძმაო ჩემო სულიერო, შენი ყურადღება მინდა მივაპყრო ,,მადამე'' კაჭარავასას. ვიცი გეუცხოება ამ უცნობი პირის ხსენება, მაგრამ მოტყუება რომ კარგი საქმე იყოს, მაშინ აღარც შეგაწუხებდი. ეს მეორეჯერ არის რაც ,,მადამე'' კაჭარავასი ადგილობრივ სცენის მოყვარეებს იმედს უცრუებს ანუ უკეთ რომ ვსთქვათ ატყუებს. დაპირდება ვითამაშებო, აიღებს როლს და წარმოდგენის წინა დღეს ან ცოტა ადრე, გაიხედავ რომ ,,მადამე'' კაჭარავასი უარს ეუბნება. ამისი მიზეზი ალბათ რაიმე შინაგანი ავათმყოფობაა და ხუთიოდ წვეთი ,,კუდინი'' ვგონებ განკურნავს ქ-ნ ,,მადამე''-ს.

რაიცა შეეხება ხონის ,,ინტელიგენციას'', ის კარგა ხანია საღათას ძილს ყავს შეპყრობილი და

თუ გამოაღვიძებს ისევ შენი კურთხეული მათრახის კუდი. კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებს ისე გაურბიან, როგორც „თათარი ღორის ხორცს *). სამკითხველოსთვის საწევრო გადასახადს ეგზეკუციის საშვალებითაც ვერ გადაახდევინებ, არა თუ ნება-ყოფლობით გაიღონ. თეატრს თუმცა ეწევევიან ხოლმე ზოგიერთები, მაგრამ რა? იყიდიან უკანა რიგის ბილეთებს და ყველაზე წინ კი წამოსკუპდებიან. უჩხუბრათ რასაკვირველია ვერ ააყენებ და ჩხუბი ხომ კარგი საქმე არ არის.

შენი ურჩი.

—

სამეგრელო.

ბბა ძმობილო ეშმაკო,
დამიგდე კარგათ ყურია,
სოფლის ანბავი მოგითხრო
საქმეა დასაშურია.

კვათანში როცა გეახელ
იქა ვნახე ლუარსაბი
(მამასახლათ ნამყოფია:
მსუქანია ვით ყასაბი,)

კოწიას პირი შეუკრა,
„ბაჟავენ“ დაჭირულ ებსა
და ამა გამოსარჩენით
ოხრათ იყრიან ფულებსა.

სამშობლოს მოღვაწეობა
არც თქმულა უკეთესია
და შენ მიუმკე გენაცვა
რაც მაგას დაუთესია.

ზანათში ვნახე მისი ძმა,
გიო რო ქვია კალათა
ცხრა წელიწადი სოფელი
მისდევდა მაჩანჩალათა.

ამ ბოლოს ბედმა უმტყუნა
ავათ გაგვიხდა მწარათა
და ლამის მთელი სოფელი
დაიქცეს ცრემლის ღვარათა

ახლა შენ შემოგცქერიავართ,
შენი მათრახის ძალასა
განკურნე გიო, და ხალხი
აცდინე ხათაბალასა

რიონის პირათ **ტყვირი** ძევს,
სადა მეფობს გრიგოლ ჩანგა...
და ჟამსა „სტარშინობისას“
სოფელს ფული გაუფლანგა.

ან აქ მიეც რამე ჯილდო,
თან სხვა მხარეს გააგზავნე,
რადგან იგი ტყვირისათვის
არსებაა დიდათ მავნე.

სეფიეთში კვალად გმირობს
გეგეჭკორი სამსონია:
ესდენ მენდლით დატვირთული
სხვა გენახოს არ მგონია.

მთელ მაზრაში ცნობილია,
როგორც სოფლის ძველი გმირი:
და კოწოსთან სამოქმედოთ
განუყრელი შეკრა პირი.

ჯილდოთ სიმონს თითონ იცი
რას მისცემ და რა ერგება
კუდი შენი მათრახისა
ხომ რძესავით შეერგება.

გამომძიებელი-ეშმაკი.

—

დიდი ჯიხაიში. ძმაო ეშმაკო! როცა მაცხოვარს ჰკითხეს: სად ვილოცოთო, მან მიუგო: ყოველ ხის ძირში შეგიძლიათ ილოცოთო.

ახლა მოდი და ჩვენი „ახალი ეკლესიის“ მოძღვარს მოსე ლეჟავას ჰკითხე: სად უნდა ვილოცოთ თქვა?

ის მაშინვე გეტყვის: „უმაღლესი სამღვდელოების განკარგულებით ეს ეკლესია უნდა დაინგრეს და ახალი აშენდესო, ამაში ლოცვა არ შეიძლებაო“.

ახლა მიდი და უმაღლეს სამღვდელოებას ჰკითხე: ხის ძირში თუ კი შეიძლება ლოცვა, ამ ჩინებულ ეკლესიას რა უშავს, რომ მიგვიკეტე და ახალის აშენებას გვთხოვთქვა?

ის გეტყვის: რას ამბობ, ეს სულ მოსეს მოგონილია, თორემ ჩვენ არაფერი გვითქვამსო.

ახლა მიდი მოსესთან და ნურაფერს ეკითხები ისე გაჭკარი სამიოდ მათრახის კუდი. ერთი თომას გადასაცემათ გაატანე, მისი პრიჩეტნიკია და ვულს არ დააკლდეს.

ჯათუ.

—

ს. სამხთო.

ეშმაკო! გამოგვიგზავნე
„კუდინი“ ერთი დოქიო
გადავაკვრიოთ ივანეს —
გავაგდებიოთ ქოქიო.

ეგ შენი მწვავე მათრახიც
რომ მოხვედროდა მასაო —
ცოტას კი შეიბრალებდა
თავის შვილებს და ძმასაო.

ბუ.

*) ანუ უკეთ რომ ვსთქვათ „როგორც გოთუა ჯაფარიძესთან გასაართლებას“. ეშმაკი.

შანტაჟისტობამ იკლო.

რედაქტორ-გამომცემელი თ. ბოლქვაძე.

იბეჭდება და გასასყიდათ მალე მზათ იქნება

დამარცხებულნი

დრამა 5 მოქმედებათ პ. ირეთელისა.

საკომისიოთ არავის მიეცემა. გამოწერა შეიძლება მხოლოდ **ნაღდ ფულზე და ფასდადებით.**

ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, типографія товарищества „Шрома", русская улица домъ Армянской Духовной Семинаріи № 3. Теофилу Болквадзе. ვინც 100 ცალს ან მეტს გამოიწერს დაეთმობა 25 პროცენტი წიგნის ფასი—30 კ. გამოწერა ეხლავე შეიძლება.

არტისტულ საზოგადოების თეატრში კვირას, 4 მაისს

ავთმეოფი სუფლიორის

ბ. ბეგლარიძის სასარგებლოდ

წარმოდგენილი იქნება

პირველად ქართულ ენაზე მაქსიმ გორკის ცნობილი პიესა

ნაძირალნი

(НА ДНѢ)

პიესა 4 მოქმედ. თარგ. ბ. ახოსპირელისა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია დასაწყისი საღამოა 8 საათზე.

ელექტრომბეჭდავი ამხანაგობა

„შრომა"

გადავიდა მიხაილოვის ქუჩიდან რუსკი ქუჩაზე სომეხთა სასულიერო სემინარიის ახალ შენობაში.

ღებულობს ქართულ და რუსულ საბეჭდავ საქმეებს.

„ეშმაკის მათრახის" რედაქციაში იყიდება გასული წლის „ეშმ. მათრახის" კომპლექტი (13 ნომერი) ერთად შეკერილი. ფასი—1 მ. 30 კ. მსურველს პროვინციაშიც გაეგზავნება.

ელექტრომბეჭდავი, ამხ. „შრომა" რუსკაია ქ. № 3.